ნაბეჭდი თაბახი 2
სააღრ. - საგამომც. თაბახი 1,29
უფასო

შეკვეთა 236 ტირაჟი 60

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 380028,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

891.71
ჟ-333

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

პეტრიაშვილი ოლღა მიხეილის ასული

ივან ბუნინის მოთხრობები
(1888 – 1953 წ.წ.)

10.01.02 - სლავური ლიტერატურები

ავტორეფერატი
დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ.შ. გიგოლოვი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ.ა. თუხარელი

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ.დ. ხიხაძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ.ნ. ჯინჭარაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თ. ლორთქიფანიძე

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

წამყვანი ორგანიზაცია: ს.-ს. ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება "27" [illegible] 1997 წ.
" " საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის р 10.01. с №5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი გაიგზავნა "23" [illegible] 1997 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

-15374-

ნაშრომის ძირითადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ივან ბუნინის მოთხრობების ჟანრულ თავისებურებებს.

<u>თემის აქტუალობა</u> გამოიხატება იმაში, რომ ივ. ბუნინმა პირველმა რუსი მწერლებიდან მიიღო მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში (1934 წ.). თანაც ივ. ბუნინი მიეკუთვნება რუს მწერალთა იმ რიცხვს, რომელთა შემოქმედება ათეული წლების განმავლობაში მთელი სისრულით არ იყო ცნობილი ფართო მკითხველთათვის, ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტმცოდნეობისათვის და იგი მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა ფართო კვლევის საგანი. აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ბუნინი მცირე ეპიკური ჟანრის აღიარებული ოსტატია, და სწორედ მცირე ეპიკური ჟანრი (ნოველა, მოთხრობა) წამოიწია წინა პლანზე XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში, სწორედ იგი აღმოჩნდა ყველაზე მიმზიდველი თანამედროვე ეპოქაში და ბოლო დროს სწორედ ამ ჟანრშია მიღწეული ყველაზე შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი წარმატებები. ამით მტკიცდება და ჰპოულობს ლოგიკურ გამართლებას ბუნინის ნოველისტიკის გამოყოფა მისი მდიდარი პროზისაგან. ივ. ბუნინმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შექმნა მრავალი ნაწარმოები: ლექსები, მოთხრობები, ერთი რომანი, მსოფლიო კლასიკის თარგმანები, საგზაო ნარკვევები, მოგონებები, დღიურები, მაგრამ სახელი მას, როგორც მწერალს, უმთავრესად, მოთხრობებმა, მისმა ნოველისტიკამ მოუხვეჭა. ივ. ბუნინი მსოფლიო ლიტერატურაში შევიდა განსაკუთრებით როგორც ნოველისტი, თანამედროვე მკითხველიც ივან ბუნინს იცნობს როგორც ნოველისტს. მაგრამ მის მდიდარ მხატვრულ მემკვიდრეობაში ნოველისტიკა, მთლიანობაში აღებული (ნოველა, მოთხრობა, ნარკვევი), ნაკლებადაა შესწავლილი. ამას ემატება ისიც, რომ ბუნინის მრავალი ნოველაა თარგმნილი ქართულ ენაზე და ქართველი მკითხველი მწერლის